ნავთობროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ხელშეკრულება № 7

ქ. ბათუმი 31 იანვარი, 2012 წელი

1. ერთის მხრივ, სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოს საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/ს მურმან ჩიკვაიძის სახით და, მეორეს მხრივ, ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი ბათუმის სერვის-ცენტრის ხელმძღვანელი რამაზ ხინთიბიძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $20^2$ მუხლის, ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N2622 განკარგულებისა და ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების მე–9 მუხლის მე–7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

2.ხელშეკრულების საგანი ,,დიზელ ენერჯი“. (PPM 50და მეტი)

3. მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით:,,დიზელ ენერჯი“.“ 2000 ლიტრი,

4. ერთეულის ფასი საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით - საწვავის მოთხოვნის (აღნიშნული მოთხოვნის მიმწოდებლის მიერ მიღების) დღისათვის მიმწოდებლის საცალო სარეალიზაციო ქსელში არსებულ შესაბამისი მარკის საწვავის ერთეულის (1 ლიტრის) ფასს გამოკლებული დისკაუნტი შემდეგი ოდენობით - 4 (ოთხი) თეთრი.

5.1 შემსყიდველის მიერ საწვავის სახელმწიფო შესყიდვა, აგრეთვე ამასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წარმოშობილი ყველა საკითხის სამართლებრივი დარეგულირება (თუ წინამდებარე გამარტივებული ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული განსხვავებული დარეგულირება) განხორციელდება ნავთობროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებული ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ,,საწვავის მიწოდების ძირითადი პირობების“ შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსყიდველი ადასტურებს, რომ ის გაცნობილია და ეთანხმება ,,საწვავის მიწოდების ძირითადი პირობების“ უკლებლივ ყველა პირობას.

5.2 საწვავის მიწოდება მოხდება ადგილზე მიწოდებით (გადაზიდვით), მისამართზე: ქედის რაიონში ს, ვაიო, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე, ეტაპობრივად შემსყიდველის შეკვეთების შესაბამისად (გატანა ეტაპობრივად).

5.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ყოველ ეტაპზე წინასწარ გადაუხადოს მიმწოდებელს საწვავის ღირებულება, მიმწოდებლის მიერ გამოწერილი ინვოისის საფუძველზე. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა საწვავის შეძენის ნაწილში განისაზღვრება 2012 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო სხვა უფლება-მოვალეობების ნაწილში - მათ სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

მ. ჩიკვ...

7. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

8. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საწვავის მიღებაზე და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი შემსყიდველის მხრიდან არის მ. ჩიკვაიძე (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და ეს უფლებამოსილება არ შეიძლება სადავო გახდეს შემსყიდველის მხრიდან. შემდგომში ამ პირის უფლებამოსილების გაუქმება ან შეზღუდვა იურიდიულ ძალას შეიძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს წერილობით ეცნობება ამის თაობაზე ან თუ მხარეთა შეთანხმებით შესაბამისი ცვლილება შევა წინამდებარე პუნქტში. სხვა პირისათვის ამ უფლებამოსილების მისანიჭებლად ასევე საჭიროა შესაბამისი წერილობითი მინდობილობა ან მხარეთა შეთანხმება.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი: სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოს საჯარო სკოლა, მის : ქედის რაიონში ს/ ვაიო, ს/ კოდი 246765086

---------------------------/მურმან ჩიკვაიძე/

მიმწოდებელი: ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია", მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74ბ, ს/კოდი: 202161098, ს/ს ,,თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა №GE48TB1100000018467453.

---------------------------/რამაზ ხინთიბიძე/